# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—ოთხშაბათი, 3 მაისი 1900 წ. № 1113

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—**ადრესისა** და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება **„მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.** (რ 0—10)

## სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—31)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—45)

# ახალი ამბავი

✦ გუშინლამ ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის რწმუნებულთა სხდომაზე მოხდა შემდეგი **არჩევნები:** გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ისევ თავ. ილ. გ. ჭავჭავაძე (119 თეთრი, 30 შავი); გამგეობის წევრად, პავლე ყიფიანის მაგიერ, არჩეულ იქმნა ა. ნ. ფურცელაძე (89 თეთრი, 60 შავი); ამის გარდა ამ თანამდებობაზე კენჭი იყარეს: თავ. დ. ა. გურამიშვილმა და თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა; ამათგან პირველმა მიიღო 71 თეთრი და 73 შავი; მეორემ—69 თეთრი, 80 შავი გამგეობის წევრის კანდიდატად არჩეულ იქმნა ა. ი. სავანელი (86 თეთრი 63 შავი); დამფასებელ კომისიის წევრად აირჩიეს ისევ კ. ლ. ფურცელაძე (118 თ. და 31 შავი); კანდიდატად კ. ი. ყავრიშვილი (83 თეთრი 66 შავი); თავ. ა. ნ. თუმანიშვილის მაგიერ, რომელმაც თავი დაანება სამსახურს ვადამდე, 8 კაცმა ყარა კენჭი და ყველანი გაიშავეს. ზედამხედველ კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ: უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (130 თეთრი, 19 შავი), თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი (122 თეთრი და 27 შა) თავ. მ. ნ ვეზირიშვილმა (95 თეთრი 54 შავი), გ. დ. ქურული (103 თეთრი, 46 შავი), ი. გ. თულაშვილი 96 თეთრი, 53 შავი), თ. გ. ნ. დიასამიძე (98 თეთრი 51 შავი) თავ. ა. ს. ლიონიძე (100 თეთრი, 49 შავი)' თ. ვ. გ. მაყაშვილი (106 თეთრი, 45 შავი) თ. ვ. ს. მიქელაძე (88 თეთრი 61 შავი), და თ. კ. ნ, აფხაზი 92 თეთრი 57 შავი).

დამფასებელ კომისიის წევრის არჩევა მოხდება დღეს საღამოს.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ ხმა დადის, ვითომც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ფინანსთა სამინისტროდან განკარგულება მოუვიდა—ჯერ-ჯერობით ნუ **დანიშნავთო საზოგადო კრებას.** ამ განკარგულებას, უეჭველია, კავშირი აქვს ახლად მოხდენილ რევიზიასთან.

✦ ქუთაისიდან გვწერენ: **ორთად-ერთი სამეურნეო** გაზეთი გვქონდა „მეურნე“ და იმანაც უდღეურად დაჰლია სული. მის რედაქტორს რამდენიმე პირმა სთხოვა უფლების გადმოცემა, მაგრამ ყველას უარი ეთქვა და რადგან მთელის წლის განმავლობაში ერთი ნომერიც არ გამოსულა, რედაქტორმა უფლება დაჰკარგა მისის გამოცემისა.

✦ უკანასკნელ ცნობებით, **სპარსეთის შაჰი** მოვა ჯულფას 7 მაისს, იქედან 11 მაისს მივა ბაქოში ამიერ-კავკასიის რკინის გზით. რამდენ დღეს დაჰყოფს შაჰი ბაქოში და იქედან საით გაემგზავრება, ჯერ არ იციან. მის მისაგებებლად პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ გენერალ-ადიუტანტი არსენიევი და პოლკოვნიკი ბერნგარდტი.

✦ გორის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. **ბაგრატიონ-დავიდოვი** და სიღნაღის—**შალიკაშვილი** საზღვარ-გარედ მიდიან ოთხის თვით და მათს თანამდებობას აღასრულებენ მათი კანდიდატები.

✦ გორის მემამულეთა სინდიკატის გამგე დირექტორად ამორჩეულმა ვ. გ. მაჩაბელმა უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ. ახალი არჩევანი გამგე-დირექტორისა მოხდება მაისის გასულს.

✦ ჭიათურიდან გვწერენ, რომ შავი ქვის ცნობილს მწარმოებელს ბ-ნ ნიკ. ღოღობერიძეს განუზრახავს ისევ შეადგინოს **საქციონერო საზოგადოება** ჭიათურის შავი ქვის საწარმოებლად.

✦ ყვირილიდან გვწერენ: 28 აპრილს ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გასტეხეს აქაური უფასო **სახალხო სამკითხველო** და წაიღეს ფული ყულაბით. ოთახი ცხენის ნაკელით აავსეს. ამბობენ, ეს ერთგვარი პროტესტიაო შორაპნულის თვისებისა.

✦ 6 მაისიდან ბათუმსა და ტფილისს შუა დაიწყებენ მიმოსვლას **მსწრაფლი მატარებლები,** რომელნიც გაჩერდებიან მხოლოდ სამტრედიის, რიონის, ყვირილის, მიხაილოვოს და გორის სადგურებზე. მატარებლებში სამივე კლასი იქმნება.

✦ სენატმა განმარტა, რომ **საგლეხო წოდების შვილნი** მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ დათხოვნის მოწმობებს და ჰკარგავენ ნადელს, თუ სწავლის დასრულების შემდეგ მოისურვებენ სახელმწიფო სამსახურში შესვლას. ისინი კი, ვინც სწავლას ვერ დაასრულებენ და არ მოისურვებენ სამსახურში შესვლას, რჩებიან ისევ საგლეხო წოდებაში და არ ჰკარგავენ არც ნადელს და არც სხვა უფლებას.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ **იმერეთის ეპისკოპოსი** ყოვლად-სამღვდელო ბესარიონი, ავადმყოფობისა გამო, ორის თვით ქ. პიატიგორსკში მიემგზავრება.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტრო იხილავს ამ ჟამად საკითხს იმის შესახებ, რომ მერმის პეტერბურგში გამართულ იქმნას სრულიად რუსეთის **გამოფენა საოჯახო მრეწველობისა.**

✦ ჩვენ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნი** „თეორია სიტყვიერებისა ქართულ სალიტერატურო სამაგალითო ნიმუშების გარჩევით“, შედგენილი მღვ. მ. კელენჯერიძის მიერ. ნაწილი პირველი,—საზოგადო თეორია სიტყვიერებისა. გამოცემა ქ-ნ ოლღა კელენჯერიძისა. დაბეჭდილი ქ. ქუთაისს, ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბაში 1899 წ. წიგნი შეიცავს 152 გვერდს. ფასი ორი აბაზი. ეს წიგნი საშუალო სასწავლებლის პროგრამმების თანახმად არის შედგენილი ოჯახსა და სკოლებში სახმარებლად. ამგვარი შრომა ეს მეორეა ქართულს ენაზე. პირველად 1898 წ. არქიმანდრიტმა კირიონმა და ბ-ნმა გრ. ყიფშიძემ გამოსცეს თავიანთი ვრცელი შრომა „სიტყვიერების თეორია“.

✦ აგრონომი ბ. ფირალოვი გაიგზავნა პარიზში გამოფენის კავკასიის განყოფილების სამეურნეო ნაწილის გამგეთა და წარმომადგენლად.

✦ გურია-სამეგრელოის ეპარქიის **სამრევლო სკოლების** მეთვალყურე ბ. თ. ჟორდანია უკვე შესდგომია თვისის თანადასწრებით ბავშვების გამოცდას. ჯერხანად მხოლოდ გურიაში ეგზა-

შენები დაწყებული. იქიდან სენაკ-ზუგდიდის მაზრაში წავა იმავე საქმისთვის.

✦ **პროფესორები მუშკეტოვი და ლევინსონი** მიემგზავრებიან ბორჯომსა, ახალ-ქალაქსა და სხვა დაბა-სოფლებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ადგილების გამოსაკვლევად. განზრახვა აქვთ ამ მოგზაურობას სამი კვირა მოანდომონ. მერე, შეიძლება, გოქჩის ტბაცა ნახონ.

✦ მთავრობას განუზრახავს სამრევლო სკოლებში, ბავშვების ფიზიკურად აღზრდისათვის, გიმნასტიკის სწავლება და სკოლის გარედ საყმაწვილო თამაშობანი შემოიღოს.

✦ როგორც სატახტო გაზეთები გვაუწყებენ, კიევის პროფესორთა საზოგადოებას ამ დღეებში უთხოვნიათ, რომ კიევში დედათათვის სამუდამო უმაღლესი კურსები დაარსონ. ამ საქალებო უნივერსიტეტის დასაარსებლად უკვე 300,000 მანეთი მოუგროვებიათ.

✦ გზათა სამინისტროს საჭიროდ უცვნია ყველა რკინის გზებზე შემოიღოს ბუფეტები თვით მგზავრთა მატარებლებში.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება

1-ლი მაისის სხდომა

კრებას მოხსენდა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ თანხის განაწილება. ეს თანხა წელს შეადგენს 72,981 მან. 12 კაპ. გამგეობა ამ ფულს ანაწილებს ასე: 61,056 მან. სკოლის გამგე კომიტეტს, დანარჩენი 11,925 მან. 12 კაპ. იმავე კომიტეტს სკოლის სადგომებრს ასაგებად. ზედამხედველი კომიტეტი კი არ დასთანხმებია გამგეობას და ამ გვარად გაუნაწილებია თანხა; 61,056 მ. სკოლის კომიტეტს, 1000 მან. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, 500 მან. თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს, 300 მან. გორის ქალთა პროგიმნაზიას და დანარჩენი 10,125 მან. 12 კაპ. სკოლის გამგე კომიტეტს შენობის ასაგებად.

ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს ბ-ნმა **ალხაზიშვილმა** წინადადება შემოიტანა, რომ შეტანილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვაში განსაზღვრული თანხა ახლად დაარსებულ საკომერციო სასწავლებელში ქართველ ბავშვთა აღსაზრდელად. თავმჯდომარემ ამის შესახებ კამათი საზოგადო საჭიროების თანხის განაწილების დროს მოახდინა.

**ნ. ზ. ცხვედაძე.** ჩვენი ბანკის წესდება გარკვევით ამბობს, რომ საზოგადო საჭიროებათა თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ სოფლის საჭიროებათ—მიწად-მფლობელისა და მიწად-მომქმედის საჭიროებათ. ქალაქის მცხოვრებლებმა თვით უნდა იზრუნონ თავის თავზე და მათ კიდევაც აქვთ საშუალება თავს უპატრონონ. ჩვენ, ქართველნი, მხოლოდ იმიტომ ვართ ასე ჩამორჩენილნი, რომ სოფლის საჭიროებათ არავინ აქცევს ყურადღებას. დღეს უმთავრესი საშუალება, რომლითაც შეიძლება სოფლის და მასთან მთელის ჩვენის ერის წინ წაწევა არის სწავლა განათლება. სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო აქაურს სასწავლებლებში მეტად ცოტა ქართველი სწავლობს. ნაკლის შესავსებლად დაარსებული გვაქვს სათავად-აზნაურო სკოლა, რომელშიაც საშუალო სწავლას იღებს 500-ზედ მეტი სოფლის შვილი. ამ ჟამად განზრახულია მკვიდრ ნიადაგზე იქმნას დამყარებული ამ სკოლის საქმე და ამისთვის შენდება მისთვის სამუდამო საკუთარი შენობა. ამის აგებისთვის საჭიროა ფული და ამიტომ ყოველი ჩვენი სახსარი ამას უნდა მოვანდომოთ. ახლა სხვა საჭიროებაზე ფიქრი და ისიც ქალაქის საჭიროებაზე მომაკვდინებელი ცოდვაა, და მე არ მესმის, როგორ ბედევენ აქ სხვა რამეზე ლაპარაკს! აქ ამბობენ, რომ საკომერციო სასწავლებელში ორიოდე ქართველი მიუღიათო. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ რაღაც სხვა მიზეზებია და არა ის, ვითომც მეტი მსურველი ქართველი არ ყოფილიყოს. გამოვიკვლიოთ ეს მიზეზები და ქალაქელნი თვით დაეხმარებიან თავის თავს, ხოლო ჩვენს საშუალებას სოფლის საჭიროებათ ნუ მოვაკლებთ!

**თ. გ. ს. მიქელაძე.** მე პატივსა ვსცემ კეთილ გრძნობებს, რომელნიც ასულდგმულებენ ბ-ნ ცხვედაძეს, მაგრამ არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ ის შემცდარია. საქმე სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებში კი არ არის, არამედ მთელ ქართველ ერშია. საქმე ის არის, და სამწუხარო საქმეც, რომ საკომერციო სასწავლებელში ორიოდე ქართველი მიუღიათ მხოლოდ. თანამედროვე ცხოვრებაში არსებობისათვის ბრძოლა მეტად გამწვავდა თუ ჩვენ არ შევიმოსებით შესაფერად, შესაფერის თარიღით არ შევიარაღდებით, ჩვენი საქმე წასრულია. ხვეწნა და მუდარი, რასაც ძალიან შევეჩვიეთ, ვერ გვიშველის, არ გამოგვადგება აგრეთვე მუდამ სხვებზე ჩივილი—იმათი ბრალია ჩვენი დაქვეითებაო. ყველა ამაებს უნდა დავანებოთ თავი და შევუდგეთ ჩვენის თავის შველას და ბრძოლისთვის მომზადებას მე ვამბობ ეკონომიურ ბრძოლის შესახებ. თუ ამ სარბიელზე არ დავწინაურდით, ჩვენი სახსენებელი აღიფხვნება დედამიწის ზურგიდან. ეკონომიურ ბრძოლაში მეტად საჭიროა სპეციალური ცოდნა, რომელიც ასე გვაკლია ქართველებს. დღეს ტფილისში დაარსდა ერთი დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ეს ნაკლი შეავსოს და ნუ თუ ჩვენ არ ვიხმართ ყოველს საშუალებას, რათა გაუადვილოთ მომავალ თაობას ბრძოლა არსებობისათვის, მოვამზადოთ ის საყოველთაო მეტოქეობისათვის?! მე არა მგონია, რომ ამის წინააღმდეგი იქმნას ვინმე პრინციპიალურად. ხოლო პრაქტიკულად ისე უნდა მოიწყოს საქმე, რომ სხვას არ ევნოს რამ. საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი თანხა, როგორც ვხედავთ, უნდება ბევრ აუცილებელ საჭიროებას და ამ თანხას ვერ მოვაკლებთ ვერაფერს. ჩვენის გარდაწყვეტილებით, ბანკის მოგებიდან ორი წელიწადია აგერ სამეურნეო თანხიდან სდგება ფონდი მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის. რადგან პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დაარსების შესახებ ჯერ არაფერი ისმის, შეგროვილი თანხა მოვახმაროთ საკომერციო სასწავლებელში სტიპენდიების დაარსებას... ბ-ნმა ცხვედაძემ მოიხსენია, რომ ქართველების სიმცირე საკომერციო სასწავლებელში რაღაც სხვა მიზეზებით უნდა აიხსნასო. მე წევრი ვარ ხსენებულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოსი და ვაღიარებ, რომ არავითარ განსაკუთრებულ მიზეზებს იქ ადგილი არ ჰქონია. ერთად ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქართველებს არ შეუძლიანთ სწავლის ფულის გადახდა. ტფილისის საკომერციო სასწავლებელში რომ ფასია, იმაზე ნაკლები არც ერთ საკომერციო სასწავლებელში არ არის. მაგრამ ისიც დიდი აღმოჩნდა ქართველებისათვის. ხოლო დაკლება აღარ შეიძლებოდა. მაშასადამე, ცხადია, უნდა სტიპენდიების დააარსებით ვუშველით საქმეს.

**თ. ქ. ჩოლოყაშვილი** ადგენს წინადადებას კახეთში სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ ბანკის 25 წლის არსებობის აღსანიშნავად.

კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით დაამტკიცა ზედამხედველ კომიტეტის განაწილება თანხისა (იხილე ზემოთ), ხოლო საკომერციო სასწავლებელში სტიპენდიების დაარსებისა და კახეთში სამეურნეო სკოლის დაარსებისათვის საშუალებათა გამოძებნა და საჭირო პროექტის შედგენა მიანდო ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს, რომლებმაც თავისი მოხსენება უნდა წარუდგინონ ბანკის რწმუნებულთა მომავალ კრებას.

შემდეგ კრებას მოხსენდა საქმე სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ. ეს თანხა წელს შესდგება 20.851 მ. 74 კაპეიკისაგან, რომელიც გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს ასე გაუნაწილებია: 1) 1898 წლის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად 2085 მან გადაიდვას ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმისათვის; 2) წინამძღვარიანთ კარის სკოლას—5000 მან.; 3) ტფილისის საბაღოსნო სკოლის შემწეობა—1000 მან.; 4) კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სამეურნეო სასტატისტიკო ბიუროს მოსაწყობად—1000 მან. და 5) დანარჩენი 11.766 მან. 74 კ. მიეცეს სესხად სკოლის კომიტეტს სკოლის შენობის ასაგებად.

**თავ. დ. ქ. ჩოლოყაშვილი.** ბანკის გამგეობას წარედგინა თხოვნა მაჩხაანის დეპოსაგან 5000 მან. სესხად მიცემის შესახებ. ეს დიდ მნიშვნელოვანი დაწესებულება დღეს გაჭირვებაშია და საჭიროა შველა. გამგეობა დეპოსი ხელწერილს მისცემს ბანკს, რომ გადიხდის სესხს და ნუ ეტყვით უარს.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ უარჰყო მაჩხაანის დეპოს თხოვნა და დაამტკიცა ზემოდ აღნიშნული განაწილება სამეურნეო თანხისა.

კრებას მოხსენდა საქმე კრედიტის გაიაფების შესახებ. ეს კითხვა აღძრა შარშანდელმა კრებამ და მიანდო გამგეობას პროექტის შემუშავება. გამგეობის მოხსენება, რომელსაც დასთანხმებია ზედამხედველი კომიტეტიც, ამბობს, რომ ეხლავ გაიაფება კრედიტისა მოუხერხებელია ფულის საზოგადო გაძვირებისა და საფინანსო საერთო კრიზისის გამო. მაგრამ საჭიროა ახლო მომავალში მაინც მივეშველოთ ქალაქის მსესხებელთ და შევამციროთ მათი გადასახადი ბანკის მართვა-გამგეობაზე $^1/_8$ პროცენტით. ამიტომ მოხსენება თხოულობს მიეცეს გამგეობას ნება მოახდინოს ხსენებული გაიაფება კრედიტისა, როდესაც ამისთვის უფრო მოხერხებელი დრო დადგება.

**ბ.ბ. ამირაღოვი, კობიაშვილი და თავ. ი. ზ. ჩოლოყაშვილი** იმ აზრისანი არიან, რომ გამგეობას უნდა დაევალოს ეხლავ მოახდინოს კრედიტის გაიაფება. თავ. ჩოლოყაშვილმა კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კვირას ტფილისის საკრედიტო საზოგადოების კრებამ მოახდინა %%

დაკლება და კიდევ უფრო გააიაფა კრედიტი.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მართალია ტფ. საკრედიტო საზოგადოებამ გაიაფა კრედიტი, მაგრამ ვნახოთ, რას იტყვის ამის შესახებ ფინანსთა სამინისტრო. ამას წინად მოსკოვის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებამაც დაუკლო პროცენტს, მაგრამ სამინისტრომ არ დაამტკიცა ეს გარდაწყვეტილება და უპასუხა ხსენებულ საზოგადოებას, რომ ის მეტად ზრუნავს მსესხებელთათვის და ივიწყებს სრულიად ობლიგაციების პატრონთ, რომელთა ინტერესი თხოულობს, არ იქმნას მეტად შესუსტებული მათი საგარანტიო ფონდები.

რწმუნეიულთა კრებამ შეიწყნარა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება.

შემდეგ კრებას წარედგინა გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების მე-56 §-ის შეცვლის შესახებ. გამგეობა თხოულობს—შუამდგომლობა იქმნას აღძრული ფინანსთა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ ბანკს ნება ჰქონდეს გირავნობის ფურცლების გაბათილებისათვის, ეხლანდელ წესის გარდა, თვით იყიდოს ბირჟაზე ფურცლები და გააბათილოს ისინი.

კრებამ უკამათოდ დასტოვა ეს მოხსენება.

დასასრულ, კრებამ განიხილა თავ. რ. ვაჩნაძის წინადადება გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობის გაუქმების შესახებ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: რადგანაც პავლე ყიფიანის მოადგილე ერთის წლით უნდა იქმნას მხოლოდ არჩეული, ამიტომ ეხლა მოხდენილ იქმნას ეს არჩევანი, ხოლო თავ. რევ. ვაჩნაძის მიერ აღძრული კითხვა გადასაწყვეტად გადაეცეს მერმისის კრებას.

ამით დასრულდა ყველა მორიგ საქმეების გარდა არჩევნებისა. არჩევნები მოხდა გუშინ ღამ; მათი ანგარიში იხილე ზემოთ, ახალ ამბებში.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**1 მაისს.**

**კრონშტადტი.** ამბობენ, რომ კრიუგერს განზრახვა აქვს წავიდეს ლეიდენბურგს, როგორც კი დაბრუნდება შტეინი, რომელიც გენ. ბოტტასთან ერთად წავიდა კრონშტადტში.

**ლორენცო-მარკეზი.** საერო კრებამ პრეტორიაში, საიდუმლო სხდომაზე დაადგინა, რომ ტრანსვაალის ყველა მცხოვრებლებმა, მიუხედავად ეროვნებისა, მიიღონ მონაწილეობა რესპუბლიკის დაცვაში.

**პარიზი.** პროვინციაში არჩევნები მშვიდობიანად დასრულდა. კონსერვატორები არჩეულ იქმნენ ტრუაში, რესპუბლიკელები კი—ნანტსა, ანჟერსა, დიჟონსა, რუანსა, ბორდესა, არრასა, მონპელიესა და შამბერაში; რადიკალ-სოციალისტები—ლიონსა, პერპინიანსა, რეიმსსა და ტურში; სოციალისტები—მარსელსა, სენტ-ეტიენსა, როანსსა ლილლსა და რუბეში; ანტისემიტები—კონსტანტენში.

**პიატიგორსკი.** სამკურნალო სეზონი დაიწყო.

**ყაზანი.** დაიწყო სახელმწიფო ეგზამენები უნივერსიტეტში.

**პიტერმარიცბურგი.** ბულლერი იტყობინება, რომ მან შეასუსტა ბიგერის გასავლის დამცველი რაზმები. დღეს მოელიან დუნდის აღებას.

**კრონშტადტი.** შტეინი წავიდა გეილბრონს და აღიარა ეს ქალაქი ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქად; 400 ბურგერზე მეტმა დაჰყარა იარაღი კრონშტადტში და მის მიდამოებში. ხმა დადის, რომ ტრანსვაალელნი ამაგრებენ პოზიციას მდ. ვაალის იქეთა ნაპირზე.

**ბელგრადი.** ტაუშანოვიჩს მიუსაჯეს საპყრობილეში დამწყვდევა ხუთის წლით.

**პარიზი.** არჩევნებზე რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს თითქმის ყველა უმთავრეს ქალაქებში:—ლიონსა, ლილლსა, სენტ-ეტიენსა, მონპელიესა, ტურსა, პუატიეს, ნანტსა, როშფორსა, ბურჟსა და ბეზანსონში.

**1 მაისს**

**პეტერბურგი.** მეორე არმიისკი კომანდერი დოხტუროვი ინიშნება ოდესის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწედ.

კოსტრომის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ლეონტიევს ებრძანა იყოს კოსტრომის გუბერნატორად.

ხელმწიფე იმპერატორმა სცნორა სასარგებლოდ შესწავლა რუსეთის მცენარეულობისა, უმაღლესად ბრძანა: მიენდოს რუსეთის მცენარეულობის შესწავლა აკადემიკოსს კორჟინსკის, რომელსაც შეუძლიან მიზნის მისაღწევად მოიწვიოს თანაშემწენი და დაევალოს მას, კორჟინსკის, საქმის მოწყობა-მეთაურობა და გადიდეს მათ უდიდებულესობათა საშუალებიდან ციმბირის მცენარეულობის შეკრება-შემუშავება-შესწავლისა და ამის პირველი გამოცემისათვის საჭირო ფული 21,400 მან.; ეს ფული მიეცეს კორჟინსკის ნაწილნაწილ ოთხის წლის განმავლობაში.

**პრეტორია.** ბურებს მეფკინგში ძლიერი ზარბაზნის სროლა ჰქონდათ. არტილერიამ დაანგრია მკვიდრთა უბანი. ერთმა ყუმბარამ ცეცხლი გააჩინა. დელაგუადან სანოვაგის შემოტანა უმეტესად იმოქმედებს ტყვე ინგლისელებზე. სანოვაგე ჯერ დაურიგდებათ ხოლმე ბიურგერებთ, შემდეგ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ და ბოლოს ტყვეთ.

**ლონდონი.** პალატამ მიიღო ბილი საზღვაო სათადარიგო ჯარის შესახებ.

**მოსკოვი.** გარდაიცვალა პროფესორი პსიხიატრი კორსაკოვი.

**ბუდა-პეშტი.** უნგრეთის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში გოლუხოვსკიმ დაახასიათა მდგომარეობა. შეეხო რა ფრანც-იოსების ბერლინში წაბრძანებას, მინისტრმა შენიშნა, რომ იმპერატორთა შეხვედრა უზრუნველ ჰყოფს პრინციპს, რომელზედაც აშენებულია შუა ევროპის მშვიდობიანობის კავშირიო. სამთა კავშირს განამტკიცებს აგრეთვე შეთანხმება უნგრეთის და რუსეთის მთავრობისა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის საქმეში და აგრეთვე კეთილ განწყობილება სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან. უმთავრესი ზრუნვა ავსტრო-უნგრეთის მთავრობის არის—დაიცვას საქმეთა აწინდელი მდგომარეობა სავსებით. შეეხო რა სამხრეთ აფრიკის ომს, მან გამოსთქვა, რომ მეგობრული შუამდგომლობა შეუძლებელიაო, რადგანაც ამისთვის საჭიროა თანხმობა ორთავე მეომარ მხარისაო.

**სტოკხილფეჰმი.** მეორე ბრიგადამ მიიტანა იერიში მტრის მარცხენა მხარეზედ; დენდონალდმა კავალერია მიჰმართა შუაგულ ჯარისაკენ, ბეტუნის ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა მოუარა მემარჯვენე ჯარს ნაპირიდან. მტერმა იერიშის მიტანას დაასწრო და უკან დაიწია.

**ლონდონი.** პალატა. ჩემბერლენმა გამოაცხადა, რომ განზრახულია საიდუმლო საბჭოს წევრთა შორის იმყოფებოდნენ წარმომადგენელი კანადისა, ავსტრალიისა, სამხრეთ-აფრიკისა და ინდოეთისა. საიდუმლო საბჭოს არ ექმნება, როგორც განზრახულ იყო, დანიშნულება სააპელაციო სასამართლოსი, და დაცული იქნება აწ არსებული სასამართლო.

**ბუდა-პეშტი.** ავსტრიელთა დელეგაცია. ჩეხი სლამა აცხადებს, რომ ჩეხელებმა არ მიიღეს გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი, რადგანაც არ ერწმუნებიან გოლუხოვსკის და არა სწამთ მისი პოლიტიკა. ჩეხელებს არას დროს არ ჰსურდათ გერმანიასთან უთანხმოება, მაგრამ, მეორეს მხრით, რუსეთთან შეთანხმებაში ისინი ჰხედავენ მშვიდობიანობას უზრუნველ ყოფას. იმათა ჰკონიათ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ეს თანხმობა უნდა დარღვეულიყო. ორატორი ჰკითხავს მინისტრს, რა ზომები მიიღო სამინისტრომ გერმანიიდან ჩეხელ და პოლონელ მუშების გადმოსახლების საკითხის შესახებ. პოლონელი რზედუშიცკი უცხადებს გოლუხოვსკის სრულს ნდობას. კოზლოვსკი თხოულობს, რომ უსათუოდ დაარსებულ იქმნას შუა ევროპის სადამოჟნო ლიგა.

დრ. რედ. ალ. ჭყონია

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —10 კ. | |
| სუკი . . . . | 1 » | —15 კ. | |
| » ცხვრისა . | » » | —11 კ. | |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 კ. | |
| » ღორისა. . | » » | — 8 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ჯვარი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 კ. |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ » |
| » » | III » | » » | 3 » |
| იგივე თონისა | I » | » » | 5 » |
| » » | II » | » » | 4 » |
| » » | III » | » » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჭკ. მაშ. | I » | » » | 6 » |
| » » | II » | » » | 4 » |

**ტფილისის ბაზრები:**

| | | გაიყიდა მეიდნებზე: | | კოკზაღაზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი სავე. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ.

ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ზადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი ადგილობრივი საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | ხარისხი. |
|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა-ბაა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ხითაროვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. სად.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის სად. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. სად., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დილით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სად.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ღამე9 წ. სად.

---


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იგი მიიღებს შეწირულებას შესაკეთებლად ხელთუქმნელის მაცხოვრის ხატის ტაძრისა, რომელიც სოფელ მარტყოფში იმყოფება, ტფილისის მაზრაში. (ნ 3—3)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

### წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

### სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |

ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . . 30 „

იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . . 30 „

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომც. გ. გუნია.



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.